F567 ш3402

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლის ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 1 (161)

იანვარი,

1967 წელი



წელი ათას წარმატების

ქრონოსს გაჰყვა ერთი წელიც,
წელი ათას წარმატების,
შოთას წელი, ერის წელი,
წელი ნანას გამარჯვების;
სწავლის წელი, ხვავის წელი,
წელი ფართოდ დასახლების,
ღირსეულთა დიდებისა
და უღირსთა დანაღვლების;
ბრძოლის წელი, შრომის წელი,
ნათლის სვეტის ამაღლების —
შვების წელი, მწველი წელი
უკვდავ წიგნთა დაბადების,
წინსვლის წელი... თითქოს ფლორას
ყვავილები დაბნეოდეს...
ვის არ დაენანებოდა,
რომ უკეთესს არ ელოდეს!

აკაკი გელოვანი.

იზრდება და ძლიერდება საქართველოს ინდუსტრია

წელს საქართველოში დაიწყება და გაგრძელდება მრეწველობის თითქმის ყველა დარგის 125-ზე მეტი ქარხნისა და ფაბრიკის მშენებლობა. ეს არის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალი კორპუსი, მადნეულის ფერადი მეტალურგიის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი, ჩაის ფაბრიკები, საკონსერვო ქარხნები, ტრიკოტაჟის ფაბრიკები და მანგანუმის მაღაროები...

მრეწველობის სწრაფი განვითარება წელს მარტო ახალ ნაგებობათა მშენებლობის გზით როდია დასახული. იგი განვითარდება არსებულ საწარმოთა გაფართოების გზითაც. შარშან დამატებითი საწარმოო ფართობები ჩადგა მწყობრში რესპუბლიკის 60 ფაბრიკაში, ქარხანასა და კომბინატში. წელს კი ასეთი საწარმო 145 იქნება. ეს არის 100 ათასზე მეტი დამატებითი ფართობი და მილიონ მანეთამდე სახსრები, რომლებიც ახალი ობიექტების მშენებლობის ნაცვლად რეკონსტრუქციის პროცესში დაიზოგა.

იმ საწარმოთა შორის, რომელთა რეკონსტრუქცია და გაფართოება უნდა მოხდეს, არის ელექტროტექნიკური, მანქანათაშენებელი, ხელსაწყოთაშენებელი, საკონსერვო ქარხნები, ტრიკოტაჟისა და საფეიქრო ფაბრიკები და სხვა. თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატში, მაგალითად, საექსპლოატაციოდ გადაეცემა ბოჭკოს შესაღები და კარბონიზაციის უბანი, რომლის სიმძლავრე სულ ცოტა სამი ათასი ტონა ნაწარმი იქნება წელიწადში. ქარხანა „ლითონკონსტრუქციაში“ კი დამატებითი ფართობი, რომელიც თანდათანობით ამუშავდება, სავსებით შეცვლის საწარმოს სახეს, ხელს შეუწყობს პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას. დაჩქარებული ტემპით წარმოებს დამატებითი სიმძლავრის მშენებლობა ქარხანა „ელექტროგამშვებში“. ახალი უბანი აღიჭურვება კონვეიერებითა და ნაკადური ხაზებით, რაც მკვეთრად გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

საქართველოს დედაქალაქის მზარდი რაიონის — საბურთალოს არქიტექტურულ ანსამბლს სამი წლის შემდეგ შეემატება მართული გამოსათვლელი მანქანების ქარხნის მთავარი კორპუსი. შემდეგ აშენდება დანარჩენი საამქროები. ახალი ქარხანა წამყვანი იქნება ჩვენი ქვეყნის ხელსაწყოთაშენებელ საწარმოთა შორის.

კომბინატი აშენებს ქალაქს

რუსთავი. რკინაბეტონის ნაწარმის კომბინატი ქალაქის ერთერთი უმნიშვნელოვანესი საწარმოა. რუსთაველები ამაყობენ იმით, რომ მათ ქალაქში არ არის არც ერთი საცხოვრებელი შენობა, არც ერთი საამქრო, რომლის მშენებლობაშიც არ გამოეყენებინოთ კომბინატის პროდუქცია.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში აქ გამოშვებულია დაახლოებით ერთ მილიონამდე კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონი.

კომბინატმა აითვისა ისეთი ნაწარმის გამოშვება, როგორიც არის 18 და 24 მეტრი სიგრძის წინასწარ დაძაბული კოჭები, ელექტროგახურების მეთოდით დამზადებული წინასწარ დაძაბული კოჭები, ფილები სამრეწველო შენობათა გადასახურავად, კედლის პანელები, რომლებსაც ბუნებრივი ვულკანური წიდისაგან ამზადებენ, ქსილოლითის ფილები, ბეტონის რაფები და სხვ.

სიცოცხლის წყაროები

საქართველოს კურორტების მრავალი წყაროს სამკურნალო წყლები ბევრ სნეულებას კურნავს. ჩვენი რესპუბლიკის ბალნეოლოგიური რესურსები განუწყვეტლივ იზრდება, არსებულ წყაროებს ემატება ახალი წყაროები. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ქართველ გეოლოგებს.

— ამ ორიოდე თვის წინათ ბორჯომში ლიკანის მონაკვეთზე, — უთხრა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს რესპუბლიკის ჰიდროგეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის განყოფილების უფროსმა **ლევან ხარატიშვილმა,** — გეოლოგ მზვერავთა ჯგუფმა დ. ამაშუკელის ხელმძღვანელობით აღმოაჩინა ბორჯომის წყლის ახალი წყარო. მისი დებიტი ნახევარ მილიონამდე ლიტრი წყალია დღე-ღამეში. ამ ძვირფასი წყლის ბაზაზე მალე აშენდება ახალი სამკურნალო კორპუსები. თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სიმონეთში ამოხეთქა თერმული წყლის მძლავრმა შადრევანმა, რომლის დებიტი 28 ლიტრია წამში. ეს არის ჰიდროკარბონატული წყალი, რომელიც შეიცავს ორვალენტიან რკინას. წყალს ფართოდ გამოიყენებენ რევმატიზმის, კანისა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ. წყლის ტემპერატურა 30 გრადუსია.

მენჯიდან ორ კილომეტრზე აღმოჩენილია ცხელი წყლის წყარო, რომლის დებიტი 4 მილიონამდე ლიტრია დღე-ღამეში. ქიმიური შედგენილობით იგი ცაიშის წყლის ანალოგიურია.

ყვარლის რაიონის მყრალი წყლების მიდამოებში 900 მეტრი სიღრმიდან ამოხეთქა თერმულმა წყალმა. გეოლოგ მზვერავთა ჯგუფმა შ. ჩუბინიძის ხელმძღვანელობით ამას წინათ დაამთავრა ჭაბურღილის ბურღვა ბიჭვინთაში. აქ აღმოჩენილი წყალი მაცესტის წყლის მსგავსია. მაგრამ მისი ქიმიური შედგენილობის კვლევა გრძელდება.

ახალი მინერალური წყლები შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო განვავითაროთ და გავაფართოოთ ჩვენი რესპუბლიკის კურორტები.

ცეროდენა ტრაქტორი

ახალშობილი კვიცისოდენა ტრაქტორი ასრულებს სამუშაოს, რომელსაც რვა ცხენი მოუნდებოდა. სწორედ ამდენძალიანია ეს მინიატურული მანქანა. ჭუთაისის მცირე გაბარიტის ტრაქტორების ქარხნის კონსტრუქტორებმა მას „რიონი-10“ დაარქვეს. ქართული მცირე გაბარიტის ტრაქტორების ოჯახს ახალი მანქანა შეემატა.

ეს-ეს არის დამთავრდა ახალი მანქანის საქარხნო გამოცდა. თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით იგი აღჭურვილია საჭიანი მართვით და საათში 12 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს. ტრაქტორს შეუძლია მოთიბოს ბალახი, ამოთხაროს ორმოები, მოხნას, აწარმოოს კულტივაცია, ხეების შესხურება. მას სიამოვნებით იყენებენ არა მარტო მიწათმოქმედნი, არამედ წარმოების მუშაკებიც სამშენებლოში და გადაზიდვისათვის ქარხნებსა და ფაბრიკებში, ნავსადგურებში, საწყობებსა და სხვა ობიექტებში.

„რიონი-6“, „რიონი-8“ ტიპის მოდელების ათასობით ტრაქტორი მუშაობს ურალის, უკრაინის, ალტაის მხარის, მოლდავეთის, ვოლგისპირეთის, ამიერკავკასიის ბოსტნებსა და ბაღებში.

პირველი ხუთკილომეტრიანი

სსრ კავშირის ტერიტორიაზე საქართველოში სამგზავრო საბაგირო გზების ყველაზე ხშირი ქსელია. ყოველწლიურად მილიონობით მგზავრი სარგებლობს ამ სწრაფი, კომფორტული და ეკონომიური ტრანსპორტით.

მომავალ წლებში საქართველოში აშენდება ბევრი ახალი სამგზავრო საჰაერო-საბაგირო ტრასა. ზოგი მათგანი ერთმანეთთან დააკავშირებს მთასა და ბარს, სხვებს გამოიყენებენ ტურიზმისათვის.

თბილისის შახტმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა ჩვენს ქვეყანაში სამგზავრო საბაგირო გზების დაპროექტების დარგში. ამ ბოლო წლებში კიდული სამგზავრო საბაგირო გზების დარგში ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტის ინჟინერ ვ. მ. ლეჟავას ხელმძღვანელობით შეიმუშავეს ამ სახეობის ტრანსპორტის ტრასების ორმოცზე მეტი პროექტი.

სულ ბოლო დრომდე პირდაპირი „საჰაერო“ გზის გაყვანა შეიძლებოდა გარკვეულ მანძილზე — არაუმეტეს ორნახევარი კილომეტრისა. ტრასის სიგრძეს განსაზღვრავდა მისი მზიდი ფოლადის ბაგირის სიგრძე. ამიტომ თუ, მაგალითად, საჭირო იყო საბაგირო გზის გაყვანა სამ ან მეტ კილომეტრზე, უნდა აშენებულიყო რამდენიმე სადგური გადასაჯდომი მოედნებით.

ამას წინათ ვ. მ. ლეჟავამ შექმნა განსაკუთრებული საპარაშუტო მოწყობილობის მარტივი კონსტრუქცია, რომელიც ქმნის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად გაიზარდოს სამგზავრო საბაგირო გზების სიგრძე. ახლა შეიძლება უფრო ეკონომიური და კომფორტული სამგზავრო საბაგირო ტრასები გავიყვანოთ 6-7 კილომეტრ მანძილზე.


ზურაბ ონიანის ოჯახში

ლენტეხი. დუხჭირი იყო წარსულში სვანი გლეხის ცხოვრება. მძიმე შრომის მიუხედავად ხალხი შიმშილობდა, უმეცრებაში ბოგინობდა. სიკვდილიანობა სჭარბობდა შობადობის პროცენტს. ამაზე ნათლად მეტყველებს 130 გაზაფხულის მომსწრე, სოფელ სასაშის მცხოვრების ზურაბ ონიანის ოჯახის მაგალითი. ზურაბსა და მის მეუღლე დესპინეს 11 ქალ-ვაჟი შეეძინათ, მაგრამ სოფელში სენი გაჩნდა, რომელმაც შეიწირა ზურაბის ათი შვილი. დარჩა მშობლების იმედად და ოჯახის ბურჯად ერთადერთი ქალიშვილი იადონი.

გავიდა წლები, მშობლებს იადონის სხვა ოჯახში გათხოვება არ სურდათ და გამრჯე ვაჟკაცი დომენტი ონიანი ჩაისიძეს. ამ დღიდან ზურაბის ოჯახმაც გამრავლება იწყო — ექვსი შვილიშვილი შეეძინა. 15 შვილიშვილის შვილთა პაპაა ახლა ზურაბი.

ზურაბის ოჯახის ბიბლიოთეკაში ამჟამად 2.000-ზე მეტი წიგნია. ეს ლიტერატურა ეკუთვნით ზურაბ და დომენტი ონიანების ოჯახის იმ წევრებს, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ.

ზურაბ ონიანის ოჯახიდან უმაღლესი განათლების მისაღებად პირველად უფროსი შვილიშვილი ნიკოლოზი გაემგზავრა და შინ სამთო ინჟინრის დიპლომით დაბრუნდა. შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი დაამთავრა და აგრონომი გახდა მომდევნო შვილიშვილი კუპიკო. კუკური მათემატიკოსია, გრიგოლი მებაღე-მევენახე აგრონომი, კარლო — ეკონომისტი. ისინი, გარდა კუკურისა, სპეციალობის მიხედვით მუშაობენ. კუკური კი თანასოფლელებმა გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.



თბილისი, ახალი საცხოვრებელი სახლები ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე.

მხატვრები ამქობან...

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ გემთსაშენში მთავრდება „ივანე ფრანკოს“ ტიპის თბომავლის მშენებლობა, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეუკვეთა. ახალ საბჭოთა ლაინერს უწოდეს დიდი პოეტის შოთა რუსთაველის სახელი.

მთელი ხომალდი ქართული ხელოვნების ნიმუშებით უნდა შეამკონ. ამისათვის მოიწვიეს თვალსაჩინო მხატვრები და ჰედური ხელოვნების ოსტატები, მათ შორის რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ირაკლი ოჩიაური და კობა გურული.

ცნობილმა მხატვრებმა უკვე დაამთავრეს ესკიზები და შეუდგნენ ჩანაფიქრის განხორციელებას.

მოდით, გავისეირნოთ თბომავალ ლაინერზე. აი გადახურული ვერანდა. აქ არის სალონი „იბერია“. სალონის ერთ-ერთ კედელზე შოთა რუსთაველის პორტრეტია — ბრინჯაოს ბარელიეფი (უნდა ითქვას, რომ ეს ბრინჯაოს ერთად-ერთი ექსპონატია), რომელიც დამსახურებული მხატვრის მ. ბერძენიშვილის ესკიზის მიხედვით გააკეთა კ. გურულმა. მეორე კედელზე ი. ოჩიაურის კომპოზიციაა — ტარიელის შებმა ვეფხვთან. ამავე სალონშია ბარიც, რომელშიც არის კომპოზიციები „ამბავი რუსთაველისა“, „დაირიანი ქალი“, „ტარიელი წყლის პირს“ და ნადირობის სცენები.

ქვედა დარბაზში მუსიკალური სალონი და ორი კაფეა. კაფეს ამშვენებს კომპოზიცია „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე და ოქროს საწმისის სიმბოლური გამოხატულება: კოლხთა მეფის ქალიშვილი მედეა ვერძს მაჯენებს. კომპოზიციის უკანა პლანზეა უზარმაზარი მზის დისკო და ვეფხვები.

მუსიკალური სალონი მორთულია მომღერალთა და მოცეკვავეთა ბარელიეფით.

სპეციალისტები ირაკლი ოჩიაურს რომანტიკოსს უწოდებენ, კობა გურულს კი ლირიკოსს. ამ ორი ხელოვანის ნამუშევართა შეხამება ხომალდ „შოთა რუსთაველს“ ქართული ჰედური ხელოვნების ერთგვარ გამოფენად აქცევს.

◆

შავი ზღვის სანაპიროზე

სოხუმი. კავკასიონის მთავარი ქედის განტოტებათა მწვანე კალთები დაფიფქა თოვლმა, ზღვისპირა მთების მწვერვალებს დილაობით ნისლი ახვევია. ალპური სძოვრებიდან თოვლმა ბარად ჩამორეკა შერეული ტყეების ზონაში ჯიხვები და არჩვები, ბოლოშავი შაშვები გუნდ-გუნდად დაფრინავენ ზღვის სანაპიროზე.

იანვრის ამ დღეებში გაზაფხულივით თბილა შავი ზღვის სანაპიროზე. ქალაქის სკვერებსა და ბულვარებში ჰყვავის ქრიზანთემა, ზღმარტლი, ნარგიზი, ვარდი, მიხაკი. კოლმეურნეობების ბაღებში წითელ ფოთლებში მოსჩანს სუბტროპიკული ხურმის ნარინჯისფერი ნაყოფი, ხოლო ციტრუსის ბაღებში ხშირ ვარჯებში მოსჩანს მწიფე მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი.

შავი ზღვის სანაპიროზე საკურორტო სეზონია გაჩაღებული. შორეული მიმოსვლის მატარებლებს, საზღვაო და საჰაერო ლაინერებს ყოველდღიურად ჩამოჰყავს აქ ასობით დამსვენებელი. მართალია, ზოგჯერ ცა იფარება რუხი ღრუბლებით, ცრის წვიმა, მაგრამ ჩრდილოელებისათვის აქ მაინც „ცხელა“. სოხუმის, გულრიფშის, ახალი ათონის, გუდაუთის, გაგრის ქვიშიან პლაჟებზე დამსვენებლები იღებენ მზის აბაზანებს, ბანაობენ ზღვაში. დამსვენებლებით სავსეა აფხაზეთის შავიზღვისპირეთის ჯანმრთელობის კერები.

ძველი მეგობრობის გახსენება

(დასასრული)

◆

— რა შესანიშნავი, რა გულკეთილი ხალხია, — ამბობს ასეთი დახვედრით აღფრთოვანებული ლესტანგი. — რამდენი საზამთრო დაკრიფეს ჩვენი გულისათვის!

— არა უშავს, კიდევ ბევრი დარჩათ. ხომ ნახე, რამოდენა მანძილზე იყო გადაჭიმული საზამთროს ბაღჩა, — ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად უპასუხებს „როდოლფი“.

— შენ ვენახები ნახე, ვენახები! ბოლომდე თვალს ვერ გაუწვდენ! მერე როგორი დამუშავებულია! — აღტაცებას ვერ ფარავს „ბებე“.

— როცა მეურნეობას ასეთი დიდი ფართობები აქვს, მექანიზაციის დანერგვა არ გაუჭირდება. ამიტომაც არის ასე კარგად დამუშავებული, — განმარტა „ჰერკულმა“.

— თანაც, როცა მექანიზაციის დანერგვის საშუალება გვაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ შეგიძლია ნაკლები შრომა დახარჯო და მეტი მოსავალი მიიღო, — თავისი პროფესიული ნიჭი გამოიჩინა პარტიზანთა მომარაგების ყოფილმა უფროსმა პიერ მორლემ.

— არ დაგავიწყდეთ სარწყავი სისტემაც. ხომ ნახეთ, რამოდენა არხი გამოვიარეთ. ყველა ნაკვეთში წყალია მიყვანილი, — თქვა გოდეფროამ და იქვე დაუმატა: — არა, აქ ადამიანს ცხოვრება არ უნდა უჭირდეს...

ლამაზოშვილების ოჯახში სადილს ვახშამი მოჰყვა და თბილისში თითქმის შუაღამისას დავბრუნდით...

დილის რვა საათზე ყველანი ფეხზე დამხვდნენ. ოთხი დღე მოვანდომეთ მცხეთის, გორის, ბორჯომის, ზესტაფონისა და ჭუთაისის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებას. ფრანგები მოხიბლული დარჩნენ ჯვარის მონასტრის არქიტექტურით, სვეტიცხოვლისა და სამთავროს მდიდარი ორნამენტებით, გელათის შესანიშნავი მხატვრობითა და აკადემიის შემორჩენილი ნანგრევებით.

საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა სტუმრებზე ლიკანისა და წყალტუბოს დასასვენებელმა სახლებმა და სანატორიუმებმა, აქ ისინი ესაუბრნენ დამსვენებლებს, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან სამკურნალოდ ჩამოსულ მუშებსა და გლეხებს. გორში, ზესტაფონში და ჭუთაისში სტუმრად ეწვივნენ ყოფილ თანამებრძოლებს, ახლოს გაეცნენ მათს ოჯახებს.

10 აგვისტოს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ძველი უბნები, სიონის ტაძარი, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, თბილისის პირველი ღვინის ქარხანა. სტუმრები განაცვიფრა ღვინის მდიდარმა ბიბლიოთეკამ, სადაც ინახება მსოფლიოს ყველა კუთხეში წარმოებული ღვინოების უძველესი ნიმუშები. სალამოს, „თბილისის ზღვაზე“ აგებულ რესტორანში ქართველ პარტიზანთა საზოგადოებამ სტუმრების პატივსაცემად მოაწყო გამოსათხოვარი სალამო, რომელსაც ორმოცდაათამდე კაცი ესწრებოდა.

სალამომ მეტად გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. ეს იყო ფრანგი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის შესანიშნავი დემონსტრაცია. კერძოდ, ამ სალამოს რანუშმა („ჰერკულმა“) განაცხადა:

— გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ფრანგი ხალხის ბრძოლა ჩვენი სამშობლოს ოკუპაციის პირველივე დღეებიდან დაიწყო. ამაზე მეტყველებს უამრავი მსხვერპლი, დაპატიმრებანი და გადასახლებანი, რაც ფრანგმა პატრიოტებმა განიცადეს. თვით ჩვენი დელეგაციის წევრთა შორის არიან ამხანაგები, რომლებიც სამჯერ-ოთხჯერ გამოიქცნენ ციხეებიდან, საკონცენტრაციო ბანაკებიდან და ჩვენი სამშობლოს მთლიანად განთავისუფლებამდე ებრძოდნენ პირისხსლიან ფაშისტებს. მაგრამ ჩვენ ამ ომში ვერ გავიმარჯვებდით, ჩვენთან ერთად რომ არ ყოფილიყო მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა და პირველ რიგში გმირი საბჭოთა ხალხი, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა ომის ძირითადი სიმძიმე. ჩვენ, ფრანგები, დიდი მადლობელი ვართ აგრეთვე იმ დახმარებისა და კეთილი ჩრევისათვის, რაც საბჭოთა მეომრებმა, კერძოდ ქართველებმა, გაგვიწიეს ჰიტლერელების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლების დროს.

თბილისიდან გამგზავრების წინა დღეს 11 აგვისტოს სტუმრები წარსდგნენ ტელემაყურებელთა წინაშე და ილაპარაკეს საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

— საქართველო და საფრანგეთი, ქართველი და ფრანგი ხალხები ძალიან ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს, — განაცხადა უან ლესტანგმა, — რომ აღარაფერი ვთქვათ თქვენი რესპუბლიკის ბუნებაზე, რომელიც საოცრად წააგავს ჩემი სამშობლოს ბუნებას. თვით ქართველი ხალხის ხასიათი, მისი ტემპერამენტი ახლობელი და ადვილად გასაგებია ყველა ჩვენგანისათვის. რაც შეეხება სტუმართმოყვარეობას, ამაში ძნელად თუ ვინმე შეედრება ქართველებს მსოფლიოში. ყოველი თანამებრძოლის ოჯახში, სადაც კი ჩვენ ვიყავით, ნამდვილი ზეიმი იყო, გულღია, ხალისიანი, დიდი ზეიმი, რამაც საბოლოოდ მოგვხიბლა და თქვენი რესპუბლიკის, თქვენი ხალხის მოტრფიალენი გაგვხადა.

— მეორე მსოფლიო ომში ყველაზე დიდად საბჭოთა ქვეყანამ იზარალა ეკონომიურად, ყველაზე მეტი მსხვერპლი მან გაიღო, — თქვა პოლ ბუსკემ („დემორნიმ“). — დანგრეულისა და გაპარტახებულის აღდგენას მრავალი წლის შეუპოვარი შრომა სჭირდებოდა. ომის დამთავრებიდან მხოლოდ ოცი წელი გავიდა და უკვე ახლა თქვენი ხალხი შეძლებულად ცხოვრობს, პერსპექტივები კიდევ უკეთესია. ამაში ჩვენ საკუთარი თვალით ნანახმა დაგვარწმუნა.

როჟე რანუჭმა („ჰერკულმა“) განაცხადა:

— დღეს, როცა ასე დაძაბულია პოლიტიკური ატმოსფერო მთელ მსოფლიოში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის კულტურული კავშირის შემდგომ გაფართოებას, ხალხთა დაახლოებას, ეჭვისა და უნდობლობის აღმოფხვრას. საბჭოთა და ფრანგ ხალხთა მეგობრობას მტკიცე საფუძველი აქვს. ამის ნათელი დადასტურება იყო გენერალ შარლ დე გოლის ვიზიტი სსრ კავშირში, ამის ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო ჩვენი შეხვედრები საბჭოთა თანამებრძოლებთან, მუშებთან, გლეხებთან, უბრალო, კეთილი ნების ადამიანებთან. გვწამს, რომ თუ ჩვენ ერთად ვიქნებით, თუ საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი ერთად იქნებიან, ახალი მსოფლიო ომი ნაკლებად იქნება მოსალოდნელი. ამიტომაც დიდი სურვილი გვაქვს ასეთი მეგობრული ვიზიტები ჩვენს შორის კიდევ უფრო გამრავლდეს.

— ამ ორი კვირის განმავლობაში ხშირად მომისმენია საბჭოთა ამხანაგებისაგან, რომ პარიზის კომუნა იყო შთამაგონებელი მაგალითი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის თქვენს ქვეყანაში. ამ რევოლუციის შედეგად მოპოვებული სოციალურ-პოლიტიკური წარმატებანი დღეს მაგალითია ჩვენთვის — ფრანგი მშრომელებისათვის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში, — თქვა „როდოლფმა“.

— ჩვენი მოგზაურობა საბჭოთა კავშირში თითქმის დასრულდა — თქვა ლუი გოდეფროამ. — ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თვითეული ჩვენგანისათვის ეს იყო ყველაზე დაუვიწყარი, სასიამოვნო დღეები ჩვენი ცხოვრებისა. ჩვენ გულმხურვალედ მიგვიღეს ქართველმა პარტიზანებმა, რომლებთან მხარდამხარ ყოფნა აღგვაფრთოვანებდა ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველო ღირსია იმისა, რომ მის შესახებ უფრო მეტი იცოდნენ მსოფლიოს ხალხებმა, და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ეს მარგალიტი საბჭოთა კავშირისა კარგად გავაცნოთ ჩვენს თანამემამულეებს.

მოხარული ვიქნებით მომავალ წელს საფრანგეთში მივიღოთ სპასუხო დელეგაცია ქართველი პარტიზანებისა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული კავშირის კიდევ უფრო გაღრმავებასა და განმტკიცებას.

დასასრულ, ჩვენი დელეგაციის სახელით მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას, ქართველ პარტიზანებს და მთლიანად ქართველ ხალხს, რომ საშუალება მოგვცეს ოცი წლის შემდეგ კვლავ შევხვედროდით ძვირფას თანამებრძოლებს, ახლოს გავცნობოდით ამ შესანიშნავ ქვეყანას, რომელიც თქვენ ყველას აგერიგად გიყვართ და რომელიც ჩვენც ძალიან შევიყვარეთ.

გ. რთველიაშვილი.

* * *

სურათზე: ფრანგი პარტიზანების შეხვედრა თავიანთ ყოფილ თანამებრძოლებთან ქალაქ ზესტაფონში.



*) დასაწყისი იხ. გაზეთ „სამშობლოს ხმა“ № 22-23, 1966 წ.

ქართული თეატრი

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

თოთხმეტი იანვარი ტრადიციულად აღიარებულია ქართული თეატრის დღედ. ეს ის თარიღია, როდესაც 1850 წელს არსებობა დაიწყო განახლებულმა ქართულმა თეატრმა და მას სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, დრამატურგი, რეჟისორი და აქტიორი, თეატრის საქმის ორგანიზატორი გიორგი ერისთავი.

ამ დღეს დაიდგა ერისთავის „გაყრა“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. მართალია, ამ თეატრმა ცოტა ხანს იარსება და ხუთი თუ ექვსი წლის შემდეგ შეწყვიტა თავისი საქმიანობა, მაგრამ 1879 წელს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ინიციატივით ეს შესანიშნავი წამოწყება კვლავ განახლდა, და იმ დროიდან ქართული თეატრი უწყვეტლივ განაგრძობს თავის განვითარებას.

ამ დროისათვის ქართულ თეატრს ამკობდნენ უკვე ისეთი ბრწყინვალე ნიჭის მსახიობები, როგორიც იყვნენ: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ე. ჩერქეზიშვილი და მრავალი სხვა. ისინი დიდხანს ამშვენებდნენ ჩვენს სცენას როგორც აქტიორები, რეჟისორები და მომავალ თაობათა აღმზრდელნი.

რა თქმა უნდა, 1850 წელი ქართული თეატრის არსებობის საწყისი არ არის. ქართული თეატრის ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ. ჩვენი უძველესი ხალხური სანახაობანი, — ბერიკაობა, ყეენობა და სხვ. — ამტკიცებენ ქართული თეატრის საწყისების არსებობას უძველეს დროშიც. ამავე ფაქტს ადასტურებენ აგრეთვე არქეოლოგიური გათხრები, კერძოდ, უფლისციხის თეატრის ნაგებობა, რომელიც 3-2 საუკუნეს ეკუთვნის ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ქართული სამსახიობო ოსტატობის რეალისტური სტილი ჯერ კიდევ ვასო აბაშიძემ დააფუძნა. მაგრამ ქართული სამსახიობო რეალიზმი არასდროს არ ყოფილა მომწყვდეული ვიწრო ყოფაცხოვრებით მოვლენათა გამოსახვის ჩარჩოებში, მას არც კომედიური სიმსუბუქე, მოხდენილობა და სინატიფე აკლდა, არც ტრაგიკული პათოსი და არც რომანტიკული შემართება.

რევოლუციამდელი ქართული თეატრის ცხოვრება მეტად რთულ და სამძიმო პირობებში ვითარდებოდა. თეატრს არავითარი საარსებო საღსარი არ გააჩნდა, გარდა საზოგადოებრივი დახმარებისა. ამ მიზნით გასული საუკუნის 80-იან წლებში ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თაოსნობით ჩამოყალიბდა თბილისის დრამატული საზოგადოება, რომელსაც ფართო ფუნქციები ჰქონდა. იგი ფაქტიურად ხელმძღვანელობდა თეატრს. აყალიბებდა დასს, ადგენდა მისთვის რეპერტუარს, აწესებდა ხელფასებს, ზრუნავდა მსახიობთა ახალი თაობის აღზრდისათვის, ხელს უწყობდა ორიგინალური დრამატურგიის განვითარებას და თეატრის თეორიის საკითხების დამუშავებას.

დრამატული საზოგადოებები ცოტა მოგვიანებით დაფუძნდა ყველა იმ ქალაქში, სადაც სტაციონარული თეატრები იყო, — კერძოდ ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში და სხვ.

ოფიციალურად თბილისის დრამატული საზოგადოება დაარსდა 1880 წ. 2 ივნისს. ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ გავიხსენებთ მის პირველ შემადგენლობას: ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), აკაკი წერეთელი (თავმჯდომარის ამხანაგი), კოტე ყიფიანი (მდივანი), გიორგი თუმანიშვილი (ხაზინადარი), რაფიელ ერისთავი, მიხეილ ყიფიანი, ნიკოლოზ ქანანაშვილი და სხვანი. შემდეგში, სხვადასხვა დროს, თავმჯდომარეებად იყვნენ: რაფიელ ერისთავი, ნიკო (კოლა) ერისთავი, ნიკო სულხანიშვილი, ნიკო ქართველიშვილი, ბოლო ხანებში აკაკი წერეთელი და სხვანი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თეატრებზე ზრუნვა მთლიანად სახელმწიფომ იკისრა, რომელმაც უპირველეს ყოვლისა უზრუნველყო მსახიობები და, საერთოდ, თეატრის მუშაკები წლიური მუდმივი ხელფასით. თეატრებისათვის დაწესდა მუდმივი საარსებო დოტაცია. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართულ თეატრს. ქართული თეატრის შენობის დაწვის შემდეგ, 1914 წელს თბილისის ქართული დასი უბინაოდ დარჩა, მაგრამ 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ქართულ თეატრს გადასცა ერთ-ერთი უშესანიშნავესი თეატრალური შენობა — ახლანდელი რუსთაველის თეატრი.

1922 წლიდან თეატრს სათავეში ჩაუდგა დიდად სახელმოხვეჭილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომლის მოღვაწეობასთან დაკავშირებულია ქართული თეატრის აღორძინება და ამაღლება. იგი სამართლიანად ითვლება ჩვენი თეატრის რეფორმატორად.

კოტე მარჯანიშვილმა მოიტანა ქართულ თეატრში მისთვის საყვარელი სინთეზური თეატრის პრინციპები. მან ერთ ჰარმონიულ მთლიანობაში გააერთიანა დრამატურგი, მსახიობი, მხატვარი, კომპოზიტორი და სპექტაკლის დანარჩენი კომპონენტები. მან ღრმად და ახლებურად გააშუქა დრამატურგიული ნაწარმოების სცენაზე განხორციელების სიღრმე და მნიშვნელობა. მარჯანიშვილმა წამყვანი როლი მსახიობს მიაკუთვნა, ხოლო მთელი თავისი მხატვრული ფანტაზიისა და წარმოსახვის ძალა მოახმარა იმას, რომ მსახიობს ყველა პირობა შექმნოდა შემოქმედებისათვის, ხოლო მაყურებელს — სპექტაკლის აღსაქმელად, როგორც გამაკეთილშობილებელი იდეისა და ზეიმური, სადღესასწაულო განწყობილებით აღსავსე სანახაობისა.

კოტე მარჯანიშვილმა დიდად აამაღლა ქართული თეატრის სცენური კულტურა, აღზარდა მსახიობთა და საერთოდ ხელოვნების მუშაკთა მთელი თაობები.

კოტე მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრში მოღვაწეობის დასაწყისშივე შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა. ამავე დროს მისი ხელმძღვანელობით არსებულ დასს ამშვენებდნენ უფროსი თაობის მსახიობები: ნუცა ჩხეიძე, ნინო დავითაშვილი, ალ. იმედაშვილი, ცაცა ამირეჯიბი, ნიკო გოცირიძე, ტასო აბაშიძე, ნატალია ჯავახიშვილი და სხვ.

მარჯანიშვილის ირგვლივ თავმოყრილი ახალგაზრდობა ძირითადად მოსული იყო გ. ჯაბადარის სტუდიიდან. ამ პედაგოგმა თავის აღზრდილთ ჩაუნერგა მრავალი კარგი აქტიორული ჩვევა. გიორგი ჯაბადარის სტუდიიდან მოვიდნენ რუსთაველის თეატრში: უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე, მიხ. გელოვანი, მიხ. ჭიაურელი, ამავე პერიოდში დაიწყეს მუშაობა რუსთაველის თეატრში აკაკი ხორავამ და თამარ ჭავჭავაძემ. კოტე მარჯანიშვილის გვერდით იმ დროს რუსთაველის თეატრში მუშაობდნენ უფროსი თაობის ნაცადი რეჟისორები: ალ. წუწუნავა, მიხ. ქორელი, აკ. ფაღავა, კოტე ახდრონიკაშვილი და ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი ალ. ახმეტელი, რომელიც რუსთაველის თეატრიდან კოტე მარჯანიშვილის წასვლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა რუსთაველის თეატრს და წლების მანძილზე დიდი წარმატებით ხელმძღვანელობდა მას.

გამოჩენილი ხელოვანის ალ. ახმეტელის ხელმძღვანელობით რუსთაველის თეატრში განხორციელდა ბევრი საგულისხმო დადგმა. ეს დადგმები საყოველთაოდ აღიარებულია არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა კავშირის ფართო თეატრალური საზოგადოებრიობის მიერ. ასეთებია ს. შანშიაშვილის „ანზორი“, ლავრენიოვის „რღვევა“, შილერის „ყაჩაღები“ და სხვ. ამ დადგმებმა განამტკიცეს რუსთაველის თეატრის რომანტიკულ-გმირული შემოქმედებითი სტილი. რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი სტილის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრალური მხატვრობის მაღალნიჭიერმა წარმომადგენელმა ირ. გამრეკელმა.

დღეს საქართველოში სრული ძალით ვითარდება თეატრალური ცხოვრება. ჩვენს რესპუბლიკაში ოცზე მეტი პროფესიული თეატრია, რომელთა რიგში საკავშირო მასშტაბით აღიარებული თეატრალური კოლექტივებია: ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, გრიბოედოვის სახელობის თეატრი. წარმატებით მუშაობენ ქართული და რუსული მოზარდი ახალგაზრდობის თეატრები, სომხური დრამის თეატრი. ვასო აბაშიძის სახელობის ქართული მუსიკალური კომედიის თეატრი. მარტო თბილისში 11 თეატრი არსებობს.

დიდ წარმატებებს და სასიხარულო გამარჯვებებს მიაღწიეს საქართველოს სხვა ქალაქების თეატრებმაც: ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრმა, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრმა, სოხუმის ქართულმა და აფხაზურმა, ოსეთის ქართულმა და ოსურმა თეატრებმა, გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრმა, მახარაძის, ფოთის, თელავის, ზუგდიდის და სხვა თეატრებმა.

დიდსა და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სახალხო თეატრები, რომელთა რიცხვი დღეისათვის 40-მდეა. მათ შორის მთელი რიგი მნიშვნელოვანი და წამყვანი კოლექტივებია, თუნდაც ისეთები, როგორიც თბილისის რკინიგზელთა თეატრი, ონის სახალხო თეატრი, ბორჯომისა და სხვ.

გარდა სახალხო თეატრებისა, ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით მუშაობს 19 საქალაქო კულტურის სახლი, 62 რაიონული კულტურის სახლი, 1.181 სასოფლო კლუბი. ეს კულტურის სახლები და კლუბები აერთიანებენ 5.000-მდე კოლექტივს, მათ შორის დრამატულ, ქორეოგრაფიულ, მომღერალთა, მუსიკალურ, აგიტმხატვრულ და სხვა კოლექტივებს. ეს თვითმოქმედი კოლექტივები აერთიანებენ 60.000 მონაწილეს.

ჩვენი თეატრების ზრდასთან ერთად განმტკიცდა მშობლიური დრამატურგია.

1945 წელს დაარსდა საქართველოს თეატრალური საზოგადოება, რომლის დამფუძნებელ საორგანიზაციო კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ჩვენი სახელოვანი მსახიობი აკაკი ხორავა — ამ საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. იგი თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელმა კრებამ აირჩია საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ. მის მოადგილედ ითვლებოდა შალვა დადიანი, ხოლო პასუხისმგებელ მდივნად — სერგო გერსამია.

ჩვენი თეატრების წინსვლასა და გამარჯვებებს დიდად უწყობს ხელს მის ახალგაზრდა მუშაკთა პროფესიული დაოსტატება. ამ საქმეში მნიშვნელოვანსა და პატივსაცემ როლს ასრულებს ჩვენი თეატრალური ინსტიტუტი, რომელიც თავის დროზე აღმოცენდა რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრების სტუდიების გაერთიანებით.

1914 წლის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულია შალვა დადიანის ფრიად საინტერესო წერილი. გვარების დასახელებით ამ წერილში მოყვანილია, თუ რამდენი ხელოვნების მუშაკი მოღვაწეობდა იმ ხანად ჩვენი სამშობლოს თეატრებში. ჩამოთვლილი არიან მსახიობები, რეჟისორები, რეჟისორის თანაშემწეები, მოკარნახეები და რამდენიმე წამყვანი სცენისმოყვარე, რომელნიც შეთავსებით ეწეოდნენ პროფესიულ მოღვაწეობას თეატრშიც. მათი რიცხვი შეადგენს სულ 114 კაცს. შალვა დადიანი ბოდიშს იხდის, — შესაძლოა თითოოროლა ვინმე გამომრჩა, მაგრამ მათ ცალკე დავუმატებთო.

დღეისათვის საქართველოში ითვლება 9.200-ზე მეტი ხელოვნების მუშაკი.

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს თეატრალურ ხელოვნებას ამშვენებენ მაღალი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედნი. მათ შორის საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები: პეტრე ამირანაშვილი, დავით ანდღულაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე, სესილია თაყაიშვილი, ალექსი მაჭავარიანი, ილიკო სუხიშვილი, ნინო რამიშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, მიხეილ ჭიაურელი, აკაკი ხორავა.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მსახიობი და ხელოვნების მუშაკი, საერთოდ, უუფლებო იყო, მხოლოდ ხელოვნების სფეროს ეკუთვნოდა და არავითარ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას არ ეწეოდა, დღეისათვის ჩვენ, თეატრების მუშაკები, თანაბრად უფლებამოსილი ვართ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებისათვის. მსახიობები, რეჟისორები და სხვა დარგის ხელოვნების მუშაკები ფართოდ არიან ჩაბმული სახელმწიფოს მართვის საქმეში...

ნათელია ქართული თეატრის მომავალი.

დოდო ანთაძე,
საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი.



სურათზე: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი სერგო ზაქარიაძე რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლ „ბახტრიონში“.

თბილისი — იენი

მიმდინარე წლის მაისში თბილისის უნივერსიტეტს ეწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერთა — იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენელთა დელეგაცია (იხ. გაზ. „სამშობლოს ხმა“. № 9, 1966 წ. გვ. მე-6). გერმანელი სტუმრები გაეცნენ ამიერკავკასიის უძველესი უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობას, დაათვალიერეს სამეცნიერო laბორატორიები და სასწავლო კაბინეტები, წაიკითხეს ლექციები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობაზე და იენის უნივერსიტეტის ისტორიაზე. თბილისში ყოფნის დროს მათ წინადადებით მიმართეს ქართველ კოლეგებს დაედოთ ორი უმაღლესი სასწავლებლის მეგობრობის, კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის ხელშეკრულება.

ამას წინათ იენაში იყვნენ თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები — პრორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტი მ. მირიანაშვილი, დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი დოცენტი ზ. ჭარხალაშვილი და კიბერნეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გ. ზარაპოვი.

„სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტის თხოვნით მ. მირიანაშვილმა გვიამბო ამ მოგზაურობის შესახებ.

— მოძმე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 15 დაუვიწყარი დღე გავატარეთ. იენის უნივერსიტეტში უდიდესი გულთბილობითა და გულთბილობით შეგვხვდნენ.

ჩვენ შევისწავლეთ 1967 წლის ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა. მაგალითად, წელს, მაისში თბილისში ჩამოვა იენის უნივერსიტეტის რექტორი, ცნობილი ბიოქიმიკოსი, ეროვნული პრემიის ლაურეატი პროფესორი დრაიფალი, უნივერსიტეტის პრორექტორი, დოცენტი კესლერი, პროფესორები ფრიკი და ტილი. გათვალისწინებულია, რომ იენაში წავლენ თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი ი. ვეკუა, პრორექტორი, პროფესორი ს. ჯორბენაძე, პროფესორები თ. გამყრელიძე, ა. ურუშაძე და სხვები.

იენაში ყოფნის დროს დავრწმუნდით, რომ ქართველ და გერმანელ მეცნიერებს შეუძლიათ ნაყოფიერად ითანამშრომლონ მეცნიერების ბევრ დარგში. მაგალითად, პროფესორი მ. მირიანაშვილი და იენის უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ფუნკერი კარგად იცნობენ ერთმანეთს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობითა და მეცნიერული ნაშრომებით. იენაში ვიზვედრის დროს მეცნიერებმა მოილაპარაკეს, რომ 1967 წელს მოაწყობენ გაერთიანებულ სიმპოზიუმს გრავიტაციის საკითხებზე, რაც ნაწილობრივ შეაჯამებს მუშაობას პარიზის საერთაშორისო კონგრესის წინ, რომელიც 1969 წელს გაიმართება.

უფრო დიდ დახმარებას გაუწევენ ქართველი მეცნიერები პროფესორ პეჩს, რომელიც მუშაობს კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის პრობლემებზე. პროფესორი შნაიდერი, რომლის ჰერბარიუმში საქართველოს მცენარეებიც არის შეკრებილი, ფიქრობს ქართველ კოლეგებთან შემდგომ თანამშრომლობაზე.

კორესპონდენტი ლორთქიფანიდან

ყაგული

ნოველა

როდესაც წვიმს (თუმცა იმერეთში როდის აღარ წვიმს მარტსა და აპრილში),

როდესაც წვიმს და რიონის ჭალიდან წამოსულ ქარს მიწაზე დასტა-დასტად ჩამოაქვს ატმისა და ტყემლის ყვავილი, პატარა ცაბუნია დედას ეკითხება:

— დე, მოვიხუროთ შენი ღაწლი?

— კი, შვილო.

ცაბუნია უმალ გამოსწევს ძველი კარადის უჯრას და თითქოს იქიდან თეთრი ბატი ამოფრინდაო, ოთახში ღუნღულა ღაწლი გაიფრიალებს და უხილავ ნაპერწკლებს გაჰყრის.

ღაწლი სულ ახალია. მისი მოუთელავი ბეწვი ჯერ კიდევ შუშხავს თავკისერს. სამაგიეროდ ცაბუნია შიგ ისე თბილად გაეხვევა, ღაწლიდან მარტო ჭორფლიანი ცხვირი და ბუხართან დაბრაწული წვივები მოუჩანს.

მამის ნაქონი ცხვრისიანი კალოშები კარებთან უცდის პატარა გოგოს.

— ე, ჩაიარა აბულაძის ძღვამა! — ამბობენ მეზობლები, როდესაც ნაწვიმარ თემშარაზე იმ დიდი კალოშების ტყაპუნს გაიგონებენ.

ლელვების უბანში ყველამ იცის, ამ სისხამ დილაზე საით მიიჩქარის პატარა ცაბუნია. ბათუმის მატარებელს უნდა დახვდეს, სანიტარულ ვაგონს.

თუ საშველი დაგვიდგა და ცოტა გამოიდარა, ცაბუნია ყვითელ სანდლებს მხარზე გადაიკიდებს და ორღობეში ფეხშიშველი მიტინტილებს.

ნაწვიმარ გუბეს, რა თქმა უნდა, გვერდს არ შეუვლის, შორიდანვე გამოიქცევა და ზედ გადაევლება. ხანდახან მანძილს ვერ მოზომავს, ნახტომი შეეშლება და წუმპეში ტყაპანს მოადენს.

თუ ამ დროს ცაბუნიას ვინმემ თვალი შეასწრო, პატარა გოგო სირცხვილის ოფლში გაიწურება, ცრემლს ჩუმად გადაყლაპავს და ისევე ჩუმად გზას გაუდგება.

ქალაქის აფთიაქთან, საიდანაც მთავარი ქუჩა იწყება, ცაბუნია მხარზე გადაკიდებულ სანდლებს ჩამოიღებს და განა ტროტუარის კიდეზე ჩამოჯდება, ან აფთიაქის კედელს მიეყრდნობა, როგორც სოფლის ქალებმა იციან, — ცალ ფეხზე ხტუნვით სანდლებს გაუჩერებლად ჩაიცვამს და სადგურისაკენ მოჰკურცხლავს.

იმ წელიწადს თერთმეტი შეუსრულდა ცაბუნიას.

ახლაც თვალწინ მიდგას წინდის ჩხირივით თავიდან ბოლომდე ერთნაირად გათლილი გოგო, მისი გრძელი წვრილი მკლავები და მუდამ გადატყაებული წვეტიანი იდაყვები.

ცხვირსა და ლოყებზე ჭარბად მოსდებოდა ჩალისფერი ჭორფლი, თითქოს ზედ მთელი საცერი ქატო შეეყარესო.

დრო ალბათ თავისას გააკეთებს — ცაბუნია გაიზრდება, ლამაზი და მოხდენილი ქალი დადგება... შარშან კი, როდესაც აბულაძის ბავშვი პირველად დამანახვეს, იგი ერთი უშნოდ აყუნჭული გოგო იყო, როგორც უმეტეს შემთხვევაში მისი ასაკის გოგონები არიან.

სამტრედიის სადგურში ცაბუნია ყველას ეცოდება და რაწამს წითელქუდიანი მორიგე თვალს მიეფარება, პატარა გოგოს ხელს დაუქნევენ და სანიტარულ ვაგონში შეუშვებენ.

ცაბუნია დახუთულ კუპეში შეიხედავს და ჩუმად იკითხავს:

— ქერჩიდან მოდიხარ, ბიძია?

წამლის, ჩირქისა და მყრალი თუთუნის სუნი გულს ურევს პატარა გოგოს, მაგრამ მან იცის, ცოტა ხანში ამ სუნს შეეჩვევა და აღარ შეაწუხებს.

და სანამ სამანევრო ორთქლმავალი სანიტარულ ვაგონს ჩიხში ჩააყენებს, ცაბუნია თითქმის ყველა კუპეს ჩამოივლის და დაჭრილ ჯარისკაცებს გამოელაპარაკება.

— მეხუთე თვეა მამისაგან წერილი არ მიგვიღია. აბულაძეა ჩვენი გვარი. ხომ არ გინახავს სადმე?

— სახელი რა ჰქვია მამაშენს!

— ვალიკო.

— ვალიკო აბულაძე? არა, შვილო. არ მინახავს.

— კარგი, ბატონო.

ვაგონის ვიწრო დერეფანში სანიტრებმა უკვე გამოიტანეს რაღაც ყუთები, საკაცეები, ყავარჯნები, მაგრამ როგორც ლანდი არაფერს არ წააცევს და არავის არ შეაწუხებს, პატარა გოგოც ასევე ჩუმად გადადის ერთი კუპედან მეორეში და ისევ ისმის მისი მორიდებული ხმა:

— ქერჩიდან მოდიხარ, ბიძია?

ძველი სამტრედიის გზაზე, ამაღლების ბორანთან, სადაც ომის წლებში ბროწეულების მიხვეულ-მოხვეული ორღობე აჩეხეს და განიერი თემშარა გაიყვანეს, ცხოვრობდა ერთი ახალი მოსახლე ვალიკო აბულაძე.

მაისიდან გვიან შემოდგომამდე ვალიკო მწონავად მუშაობს ჩაის ფაბრიკაში.

მწვანე ფოთლის კრეფა რომ მოილევა, კაცი ერთი-ორი დღე ოჯახში მიიხედ-მოიხედავს, შეშას მოიტანს, ლიმონის ხეებს შეფუთვნის, სახურავზე კრამიტებს გაასწორებს, ბოგირთან დაგუბებულ წყალს გზას გაუკვალავს, მერე ჯიბეში პასპორტს ჩაიდებს და რკინიგზას მიაკითხავს.

დიდ სატვირთო სადგურში სამუშაოს რა გამოლევს, მეტადრე თუ ჯანიანი კაცი ხარ და ხელებში ცეცხლი გიკიდია, და ვალიკო აბულაძეც დუუის პირველ შემოსვლამდე ამ ვეება ფარდულებში მუშაობს.

მზე რომ გადაიხრება, ბოლოშეკეცილ ჯვალოს ტომარას თავზე ჩამოიხურავს, იღლიაში თორნის პურებს ამოიდებს და შინისაკენ გაუტევს.

სახლამდე სრული ორი კილომეტრია. თუ ვალიკო სადგურიდან ფხიზელი წამოვიდა, ამ გზას, ძალიან დაღლილიც რომ იყოს, ნახევარ საათში გაივლის. მაგრამ ხანდახან ძმაკაცებთან ერთად სადგურის ბუფეტში შეუხვევს და კარგად გადაჭრავს.

მაშინ ის ორი კილომეტრი ისე გაიწელება, ორი საათიც აღარ ეყოფა.

ეს იმიტომ ხდება, რომ ღვინოში ვალიკო აბულაძეს ცოტა ოცნება უყვარს. ოცნებაში წასული კაცი კი, რასაკვირველია, ჩქარა ვერ ივლის. და იგიც ნელა მიბანდალებს ხან თოვლჭყაპში, ხან ლურჯად ჩაგუბებულ ბინდში... ღვინისაგან შეხურებულ თავს ათასი ფიქრი და ზმანება უფორიაქებს.

მერედა, როგორი აწყვეტა იცის ნებაზე მიშვებულმა ფიქრმა. სადღა არ წაგიყვანს, რას არ დაგიხატავს, მაგრამ ვალიკო აბულაძეს გულში ყველაზე ღრმად ერთი რამ გამოუსკვნია, — რაიმე ხელობა შეისწავლოს, რომ ჩაის ფაბრიკაში ზამთარ-ზაფხულ სამუშაო ჰქონდეს.

იმ წელიწადს კიდეც შეჰპირდნენ, საღამოს კურსებზე მოგაწყობთო. მაგრამ დაიწყო ეს საშინელი ომი და ვალიკო აბულაძის ოცნებას ნიადაგი გამოეცალა.

...ცაბუნია მამას წერილს ხშირად უგზავნის. საღამო ჟამს თხას რომ მოწველის და ჭურჭელს დარეცხავს, ახრჩოლებულ ნავთის ლამპას ქალალდს ჩამოაფარებს, მძინარე უჩა სინათლემ არ შეაწუხოსო, და მაგიდას მიუჯდება.

დიდხანს წერს. ქმიფურ ფანქარს ენის წვერით მალ-მალე ასველებს და პირდაპირ ხატავს თვითეულ ასოს.

„ჩვენში ყინვები დაიწყო. წუხელ ოთახში წყალი გაიყინა და კოკა შუაზე გადაიყარაო.

„ბიცოლა მეტიას უფროსი ბიჭი ცალფეხა დაბრუნდაო.

„დედამ შემოგთვალა, უჩა დაარიგე, დიდ ბიჭებს რკინიგზაზე დაჰყვება და ვაშლის ჩირს იპარავენო.

„წუხელ დიდი შიში ვნახეთ. ფანჯარა კარგად ვერ დავაბენელე, ქუჩაში სინათლე გასულიყო და ღამის ყარაულები მთელი ღამე გვიფშტვენდნენო.

„საშურიამ გეოგრაფიის სახელმძღვანელო დამიკარგაო...

ასე ესაუბრება ცაბუნია ქერჩის მთაგორებში გადაკარგულ მამას. ცისა და ქვეყნის ამბავს შეატყობინებს, მხოლოდ ერთ რამეს არ მისწერს, — რომ ოჯახს ცხოვრება უჭირს, რომ შეშა გამოელიათ და წაჭის ფაფა სანატრელი გაუხდათ.

მეორე დილას გაღვიძებას ვერ მოასწრებს, უმცროსი ძმა უჩა-ბიჭი თავს დააცხრება.

— რა მისწერე მამას! კიდევ დამაბეზღე?

— თავი დამანებე, ბიჭო, არავითარი წერილი არ დამიწერია!

— აბა ეს რა გაქვს ტუჩებზე, ჩაიხედე სარკეში!

ქალაქში საპონი წამლად არ იშოვება. მარტო თბილი წყალი კი ლილისფერ ზოლს ვერ მოერია. ბაცი პატარა წინწკლი მაინც დარჩა ქვედა ბაგეზე.

ბოლო წერილი ყირიმის ფრონტიდან მიიღეს. მერე მთელი ხუთი თვე გავიდა, ფოსტალიონს ერთხელაც არ დაუძახნია აბულაძის ჭიშკართან.

დედა ავად იყო. ერთხელ აბრეშუმს ბუღლის ფოთოლი რომ გაუშალა, ჩელტი ჩაემტვრა და ჩამოვარდა. ფეხი მოიტეხა. საავადმყოფოდან თაბაშირის არტახში გაკრული მოიყვანეს. საწოლი ფანჯარასთან დაუდგეს და როდესაც ქუჩაზე ნაშუადღევს ფოსტალიონი ჩაივლის, დედა ცაბუნიას დაუძახებს და ეტყვის:

— წადი, შვილო, გაიგე, წერილი ვინ მიიღო. იქნებ ვინმე მამაშენის ამბავს იწერება...

მერე ქალაქში ხმა გავრცელდა, ქერჩიდან დაბრილები ჩამოჰყავთო, ცაბუნია ცისმარე დღე სამტრედიის სადგურზე იყო, მაგრამ კაცი ვერ იპოვნა მამის მნახველი, თითქოს ეს უდღეთო ომი მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ ვალიკო აბულაძე ამ ქვეყნიდან უკვალოდ გაქრო.

ასე მიიღია წვიმიანი აპრილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ნოჭარიდან ნოჭამდე

ლადო ასათიანი

ჩემი სამშობლო



ტკბილია, როგორც დედის რძით ბალღი ტუჩშეუშრობელი,
ტკბილია, როგორც ცის ნამი, როგორც ალერსი მშობლის,
ტკბილია, როგორც ველებზე ჯეჯილის მწვანე ფაფარი,
ტკბილია, როგორც ძილისპირს ძველი ქართული ზღაპარი.
ბარში ბულბულთა ჯარია, მთაში ირემი ყვირისა,
ტკბილია, როგორც სურნელი ახლადმოხდილი ღვინისა,
ტკბილია, როგორც სურნელი ახლადგამომცხვარ პურისა,
ტკბილია, როგორც ნუგეში ბედისგან დაღუპულისა.
ტკბილია, როგორც ბეღელი ამოვსებული თავამდი,
ტკბილია, როგორც სიმღერა და შეძახილი თამადის:
— ჩემი სამშობლო ზურმუხტის და მარგალიტის სადარი,
ამრიგად აყვავებული მხარე მეორე სად არი?
ჩემი სამშობლო ქვეყანა რა ლამაზია, რა კარგია,
ცა-ფირუზს, ხმელეთ ზურმუხტი, ნაირფერებით ნაქარგი,
ტკბილია, როგორც რუსთველი, ტკბილია, როგორც აკაკი,
ხალხი შრომაში გართული, ამღერებული ფანდური.
იადონების გალობა და იავნანა ქართული.

როგორც კრიალა მთის წყარო, ცადმიჭედილი ნაძვები,
და იის წყალით ფერილი ლაჟვარდის ლიბრი ღაწვები,
ტკბილია, როგორც ხალხისთვის თავდადებული ლომგული,
ტკბილია, როგორც ურმული, ტკბილია, როგორც ჩონგური.
საამო არის, კით რთველი, მწიფე მტევნების ნაჟური,
დილისკენ ხოხბის ყივილი, სიმღერა გარიჟრაჟული.
იალაღებზე ღრუბლებად მიმოფანტული ნახირი
და გაზაფხულის პირზედა ტყიდან გუგულის ძახილი.
ტკბილია, როგორც წისქვილში მთვარიან ღამის გათევა,
ტკბილია, როგორც აპრილში ტყემლების შემონათება.
ტკბილია, როგორც მტევანი ვაზზე ასხმული შავადა
და სიყვარული უბრო, მოსული თავისთავადა.
ხალხია ენამზიანი, გმირი და არამკვეხარა, —
დიდია ჩემი სამშობლო, ტკბილია ჩემი ქვეყანა.
ჩემი სამშობლო ზურმუხტის და მარგალიტის სადარი,
ამრიგად აყვავებული მხარე მეორე სად არი!

საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი

ძველად, თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები
მოდიოდნენ, რომ გაეღოთ საქართველოს კარები,
მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები,
და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები.
ისე მტკიცე იყვნენ თურმე, ვით მეტეხის კედელი,
გმირი თამარ ვაშლოვნელი და მაია წყნეთელი.
მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა ფერი მათი მერანის.
სადაც უნდა ყოფილიყვნენ მარად დაუზრახველნი —
საქართველო იყო მათი საყვარელი სახელი.
ბრძოლის ველზე მიდიოდნენ რაინდული ოცნებით,
მიდიოდნენ და მიჰქონდათ ჩალისფერი დროშები,
ბევრჯერ სისხლით შეღებილა მათი ავგაროზები.
სადაც უნდა ყოფილიყვნენ, თუნდ სამარის კარამდის,
ოსმალეთის მიწა იყო, თუ მინდორი მარაბდის, —
საქართველო იყო მათი საყვარელი მარადის.

სადაც უნდა აღემართათ სატევარი და გორდა,
ვაჟკაცურად მიიწევდნენ, ვაჟკაცურად გაჰქონდათ —
სპარსეთში თუ დაღესტანში, კრწანისთან თუ შამქორთან,
საქართველოს ერთი მუჭა ცხელი მიწა თან ჰქონდათ.
სიკვდილის წინ რუსთაველის შაირების ძახილით
მიწას გულში ჩაიკრავდა ქართველი თუ კახელი, —
საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი.
შვილებს ომში აგზავნიდნენ წარბშეკრული დედები,
აგზავნიდნენ, აბარებდნენ დედურ დაიმედებით:
თუ ისარი ზურგში მოგხვდეთ, არ დაიჭრათ მკერდები,
ხელმეორედ ნუ გენახოთ საქართველოს ქედები!
ისე მტკიცე იყვნენ თურმე, ვით მეტეხის კედელი,
გმირი თინა წავკისელი და მაია წყნეთელი.
მათი ხმალი ცეცხლს არფქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა ფერი მათი მერანის.
მამულისთვის დაიღუპნენ ვაჟკაცობის მსხვაველნი, —
საქართველო იყო მათი უწმინდესი სახელი.

ჩემი ქვეყნის ოქროყანავ

ჩემი ქვეყნის ოქროყანავ, დიდი გარჯით მოწეულო,
სიწითლისგან დაბრაწულო, კანდამსკდარო ბროწეულო,
ნაცრისფერი ღრუბლის ძნებო, ფიჭვის ტევრში გარეულო,
მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო;
ცხენისწყალის ხეობაო, დაღარულო, დასერილო,
ხვამლის მთაზე გადასულო თეთრო ნისლო აფრიანო,
ხვავიანო პურის ყანავ, გლეხის ხელით დაწერილო,
შენი თეთრი ბაირაღი სანამ უნდა აფრიალო?!
ერთო ქალო, თეთრო ქალო, ქალო ბაგეთაფლიანო,
თაფლთავებით ოქროსფერად მოსირმულო მთავ ფრიალო;
მთებო, მთებო, რუხო მთებო, ნისლებიის თავსაფრიანნო,
ზვარო, ზვარო, ჯიშიანო, ოჯალეშის ჯიშის ზვარო,
ზვარო მტევნებგიშრიანო, გლეხი კაცის სანუკვარო;
ფიჭვის ტყეო, ფიჭვის ტყეო, ნისლები რომ იტკირთეო,
ნისლის ნამში განბანილო, მთაო გულმკერდგადაშლილო,
მთის გულ-მკერდში დამალულო ოქრო, ვერცხლო, ქვანახშირო,
საქართველოს სიხარულო — ცხენისწყალო და ენგური,
და მამულის სიყვარულო, ხალხის გულში დანერგილო;
მშობლიურო მინდორ-ველო, სიცოცხლეო სამშრო,
მწვერვალებზე ანამღერო მწყემსი ბიჭის სალამური,
მოსავალო, ჯირნახულო, დილის ცვარით დანამულო,
და ბულბულო, ხმაწკრიალავ, ბუჩქნარებში განაბულო;
თვითმფრინავო ცაში ლაღო, მთებთან ახლო მოფრენილო,

ქვევით ქვეყნის ედემ-ბაღო, ია-ვარდით მოფენილო,
კვახის ლერწო გაბადრულო, ჩაქარვებულო ტაროებო,
მიწის მკერდზე გაფანტულო ღელეებო, წყაროებო,
შემოდგომავ შემოქმედო, შემოდგომავ მადიანო,
მტერმა ენახოს, შემოგხედოს, გული ჩაუდარდიანო,
ცხენისწყალის სანაპიროვ და ღამეო მთვარიანო,
ამდენი ხნის დანაპირო გოგონავ შავთვალიანო;
აქოჩრილო თხემლის ტყეო, ბარდებო და იელებო,
მეგობრებო, მეზობლებო, ახოვანო ჯეელებო,
ბედნიერი ხალხის გარჯავ, გმირობის და ძმობის ჯანავ, —
იძლიეროს მისმა მაჯამ, ვინც დაგთესა, მოგიყვანა!
ჭირნახულით დატვირთულო ბეღლებო და ნალიებო,
გამრჯელისთვის გატენილო, უქნარასთვის ცარიელო,
ხეო, ვაშლით გაფერილო, ტალავარის ჩეროებო,
სამხრეთისკენ გაფრენილო ყელმოღერაწეროებო,
მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო,
ნაცრისფერი ღრუბლის ძნებო, ფიჭვის ტევრში გარეულო,
ვარდებო და ყვავილებო, ბარდებო და იელებო,
ახოვანო ვაჟკაცებო, უშიშარო ჯეელებო,
კოლხელებო, ქართლელებო, კახელებო, მთიელებო, —
თქვენთვისა მაქვს გულის კარი სასიმღეროდ გაღებული,
თქვენთვის მინდა ავამღერო ლექსი ჩემი ახლებური,
მინდა ლექსით გესაუბროთ, დაგირხიოთ ხმა სალხენო
და ქართველი მგოსნის ჩანგი ამ სიმღერით ვასახელო!

ვინ რას

ქართლელი:

„ნეტავი რამე მანატრა,
ის ნატვრა ამისრულოო:
ჩვენი მტკვარი დოთ მიქცია, —
გორის ციხე ჯამათაო;
იალბუზი შიგ ჩაყარა,
ცადმიქცია ჭადათაო;
მცხეთის ხიდი ამიყუდა,
ხელში მომცა კოზათაო;
ისეთი მუცელი მჭონდეს,
რომ მეყოს მე სამხრათაო.

კახელი:

„ნეტავი ნატვრა მანატრა,
ის ნატვრა ამიხდინაო:
მუხრან-ბატონი ყმათ მომცა, —
კახის ბატონის ბინაო;
მომცა ყაინის უღური,
ხონთკართან გამიდინაო,
ჰავჰავაძის კარგი ღვინო
მილით შინ მომიდინაო“.

იმერელი:

ნუ გამომილიოს სახლში ღომი, ბეღელში — სიმინდი, ქესაში ღერბოის „მარკები“. მაშოვიოს მუქთი „ადვოკატი“ და მეხობლის მამულები; ჩემი სუფრა იყოს დამშვენებული ზუთხით, დოშით და ხიზილალით. ღვთისა და ხელმწიფის წყალობა ნუ მომიშალოს, ნუ მომაკლოს ჩემი ზრდილობა, ჩემი მოსწრებული სატყვა-პასუხი; საქმეში კაცი მქნა, საგონებელში კვესი, ერთის და მეორესათვისაც ადვილად ცეცხლ-მოსაკიდი აბედი მქნა.

საბჭოს ხმა

№ 1, იანვარი, 1967 წ.

აფხაზეთის ნეკროპოლები

სოხუმის აღმოსავლეთით 30 კილომეტრზე წებელდის მიდამოებში გლეხები ხვნის დროს ხშირად პოულობდნენ სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნამსხვრევებს, ჭურჭლის ნამტვრევებს და სხვა საგნებს, რომლებიც მორეულ წარსულს განეკუთვნებოდნენ. არქეოლოგები დაინტერესდნენ ამ ნაპოვნებით. გაოხრების შედეგად აქ აღმოჩენილია ამიერკავკასიის შავ ზღვის სანაპიროზე მდებარე უდიდესი ნეკროპოლები — მკვდარი ქალაქები. ექსპედიციამ, რომელსაც აფხაზეთის დ. ნ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური განყოფილების გამგე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. მ. თრაპში მეთაურობდა, კილომეტრნახევარ რადიუსზე რვა ნეკროპოლი გათხარა, ისინი განეკუთვნებიან ჩვენი წელთაღრიცხვით II-IV საუკუნეებს. ასეთი წარმატება იშვიათად ხვდება წილად არქეოლოგებს.

ჩვენი წელთაღრიცხვის II-IV საუკუნის აფხაზეთის კულტურის ისტორია აქამდე ნაკლებადაა შესწავლილი, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს ექსპედიციის ხელმძღვანელმა მ. თრაპშმა, — ამიტომ გასაგებიცაა მეცნიერთა დაინტერესება წებელდის ნაპოვნებისადმი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს რაიონი იყო აფხაზთა აფსილების ტომის დასახლების ადგილი.

აფსილები და აბაზგები — თანამედროვე აფხაზთა წინაპრები ცხოვრობდნენ ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს. ეს იყო მებრძოლი ხალხი. თითოეულ სამარხში (ასეთი სამარხი კი ასზე მეტია აღმოჩენილი), ნაპოვნია ისრის ბუნიკები და სხვა იარაღი.

ჩვენ ვიპოვნეთ ბევრი ჭურჭელი, სამკაული, საკულტო დანიშნულების საგნები. ყოველივე ეს უძველეს აფხაზთა თავისებური კულტურის დოკუმენტურ სურათს იძლევა, რასაც უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სამხრეთ ნაწილში გვიანი ანტიკური ეპოქის შესწავლისათვის. გარდა ამისა წებელდის გათხრები მეტად საინტერესოა კავკასიასა და ყირიმში ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის გამოკვლევისათვისაც.

წებელდის ნეკროპოლების მასალები ასახავენ კულტურის განვითარების სურათს 500 წლის განმავლობაში. თითოეული სამარხი თავისებური მუზეუმია, რომელშიც ჰარბადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების საგნები.

ქართველ ბიზანტოლოგთა წვლილი

დიუკანჟის ლექსიკონი ორნახევარი საუკუნის მანძილზე ითვლებოდა ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ენის ყველაზე სრულ ლექსიკონად. გადიოდა დრო და მეცნიერები პოულობდნენ სულ ახალ-ახალ სიტყვებს. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს აღიძრა საკითხი დიუკანჟის ცნობილი ლექსიკონის ხელმეორედ გამოცემის შესახებ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა რუსეთ-ბიზანტიის კომისია, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო მასალების მომზადება დიუკანჟის ლექსიკონის ხელმეორედ გამოსაცემად.

ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ენის ისტორიის ახალი მასალები, რომლებიც შეავსებენ დიუკანჟის ლექსიკონს, აღმოაჩინეს ჩვენმა ბიზანტოლოგებმა.

— ახალი სიტყვები, — უთხრა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტოლოგიის განყოფილების გამგემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ყაუხჩიშვილმა, — აღმოჩენილია ბიზანტიური დამწერლობის ძეგლების ძველ ქართულ თარგმანში. ასეთ მასალებს, გარდა წმინდა თეოლოგიური ტექსტებისა და საღვთო წერილის ტექსტებისა, რომლებიც თარგმნილია ჯერ კიდევ V-VII საუკუნეებში, განეკუთვნება აგრეთვე იოსებ ფლავიუსის, პროკლე დიადოხის ფილოსოფიური ტრაქტატის, რომანის „გალაქტიონი და ეპისტიმიის“ თარგმანები.

ამ თარგმნილი ძეგლების მეოხებით შესაძლებელი ხდება, ერთის მხრივ, დავაზუსტოთ ცნობილი ბერძნულ-ბიზანტიური სიტყვების მნიშვნელობა, მეორე მხრივ დავადგინოთ ბერძნული სიტყვების ზოგიერთი ახალი ფორმა, რომლებიც არც ერთ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში არ გვხვდება.

ინატრეგდა საახალწლოდ

ქვევრი ჯუზეპეჯის ფანქრით

მეგრელი:

ღორონთის წყაროფამ ნუ მომაკლოს ლაზუტი (სიმინდი), ღუმი (ღომი), სულგუნი (ყველი), მაშოვიოს კაი ღარ-დასმული ლაფშა მუქთად, ისე, ჩქირო გვიჩინა, ინერში რო გასხაპას; მომცეს ჯგირო უანჯო, რომ ყირიმის მარილი და ფარგა ვზიდო; ქალაქ ტფილისში გამეღოს კაი ტრახტირი, სადაც სტუმრის პორტმანე მოუბარებლად მე შებარებოდეს; ღორონთმა მიჭყაროფას რკინის გზაზედ კონდუხტორობა და ხელობა ზღვისა და ხმელეთისა, რომ ხელთ ვიგდო ზღვა და ხმელი; მომცეს ოდიშში — ტყე და სახნავი, რაც დადიანს ეკუთვნოდა.

რაჭველი:

ქვე მე რას არ ვინატრებ ჩემთვის: წმინდა ბასილმა ნუ გამომილიოს მარჯვენაში ღონე, ბეღელში პური, სახლში ქათმის შაშხები და ღორის ღორები, საქართველოში სამუშაო; ბარვა, სხვლა, ოდის დადგმა... კი ჰირი მოგჭამე! არ დამიჩლუნგდეს ხერხი, ცული, ხუშტარა, ჩუღუხი... ჰხვრიტოს ჩემმა საქვრეტელმა და პწკიპოს ჩემმა ნაჯახმა; არ დამირჩეს ნაშაური, არ მიმტყუნოს ზუზამ და გონიომ, ქანიშკაპი კაი მოაყვანიოს და ნარომანი აფრად არ დამრჩენოდეს; კახური ღვინო ბევრი შემასვას, ღორის ხორცი შემარგოს და საღდგომოდ შინ მშვიდობით მიმიყვანოს ჩემს სახლუკაში.

გურული:

ჯერ წაიღებს ძვალს, საწნახელზე არაკუნებს და იძახის: „აგუნა, აგუნა! (მავნე სული) ჩვენს ქალებს ბევრი ყაჭი და აბრეშუმი არგუნა“... მერე საახალწლოდ გააკეთებს ჩილაკს, რომელზეც ჯვარედინად დაარჭობს ვაშლებს, მოვა და ინატრებს: უპირველესის მწერლის ნიჭს, დათა გუგუნავას გალობას, კილოს და მიმოხვრას, დიმიტრი გურიელის ოქრო-ვერცხლს, გამოჩენილის კაცის ღონე-ვარჯიშობასა და ვაჟკაცობას, მამია გურიელის ენამჭევრობას, სიტყვაწყლიანობას...

ფშაველი:

მრავალ წელს ბედნიერათა!... ჩემი ხმალი მტერზედ მძლე იყოს, არ გადატეხილიყოს; ჩემი დროშა-ალმი გაშლილი მტერს თვალს უბამდეს, ჩემს ტყვიას ლიშანი ჰკოცნიდეს, მტერი დამემარცხოს; მიმატოს წულის აკვანსა, იმოდენ სარჩო-საბადებელი, ჯოგ-საქონელი მომცეს და მიმრავლოს, როგორც ცაში ვარსკვლავი, წყალში ქვიშა!..

ხევსური:

წმიდაო ბასილ! შენ დღეს შენ შეხვეწურს ნუ მომიძულებ!.. გეძახოდე —გამიგონიდი, გეხვეწებოდე — შემიხვეწდი, თავობის წულისად გეხვეწებოდე — წულს მომიმატიდი! ჩემსა მყუდროშია პურის მჭამელსა, წულის აკვანსა, აბჯრის ამღებსა, მეკვამურს მწე ექმენ... იწროს ვიყო, ფონს გამომასხმედი, სნეულს გახვეწებდე, სნეულს მილხინდი; თუ ველთ გადავიდე, აბჯარს ავიღებდე — შენი დოვლათი დამახმარიდი, მტერს მივდევდე — მიმწევიდი, მტერი მომდევდეს — გამომახწევდი; ავის დღისაგან, ლაღის მტრისაგან, მწარის სიკვდილისაგან მიხვაიშნიდი; ზაფხული მშვიდობით გადამირიდი, სთველი მხრიანბარაქიანი დამიყენიდი, ხარისა და მხრის ნამშავრადს ჯვარი დამიწერიდი, მშველდი, მწყალობდი, მცევდი, მფარევდი!.. თუ რა შეგცოდო, თუ რა შეგწყინო: პირის ქარითა, ფეხის ჩქამითა — შემინდვიდი, აგრემც გაგემარჯვებ! შენ ხევსურთ თავ-ჯალაბობისა, ორფეხ-ოთხფეხისა, კაცისა, საქონლისა, ქუდოსან-მანდილოსანისა, მწყალობელ და წყალობელ ქმენი, ბატონო, ღმერთო ჩვენო!

თ. რაფ. ერისთავი.

„ივერია“ № 2
შაბათი, 4 იანვარი, 1886 წ.

ჩაის საბლი

საქართველო ჩაის ქვეყანაა. რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს გორაკებსა და ხეობებში მწვანე ხალიჩასავით გადაშლილა ჩაის ბუჩქების სწორი მწკრივები. ჩაის 63.500 ჰექტარი უკავია. რესპუბლიკა იძლევა საბჭოთა კავშირში წარმოებული მთელი ჩაის 95 პროცენტს. მოსავალი ყოველწლიურად მატულობს.

ქართული ჩაი განთქმულია სასიამოვნო სურნელებითა და შესანიშნავი გემოთი. ლონდონისა და შანხაის სავაჭრო ფირმების მაღალი შეფასება მიიღეს „საქართველოს თაიგულმა“, „ეკსტრამ“. ჩვენი ჩაი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე და საბჭოთა საქონლის გამოფენა-გაყიდვაზე პარიზის დიდ უნივერმაღში „ლუვრში“, ტონობით ქართული ჩაი იგზავნება ყოველწლიურად ბულგარეთში, პოლონეთში, რუმინეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

საქართველოში ჩამოსული ბევრი სტუმარი, როცა იგემებს შესანიშნავ სასმელს, გამოიკითხავს ხოლმე მისი მომზადების საიდუმლოებას, ინტერესს იჩენს პლანტაციებისადმი, ჩაის მოვლა-მოყვანის მეთოდებისადმი.

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტის დასაწყისში, გაიხსნა ქართული ჩაის სახლი. ეს თავისებური მუზეუმია.

მინისა და ტუფის ორიგინალური შენობის შესასვლელთან გვეგებება ჩაის სახლის დირექტორი თამარ გვანცელაძე. დაახლოებით ოცდაათ წელს იმუშავა მან ინჟინერ-ტექნოლოგად აფხაზეთის, აჭარისა და იმერეთის მთელ რიგ ჩაის ფაბრიკებში. მან კარგად იცის ჩაის წარმოება, ამიტომაა ასე სიყვარულით რომ გადაუსვამს ხელს შენობის შესასვლელთან დარგულ ჩაის ბუჩქებს.


ჩაის სახლის დირექტორის მოადგილეა ტიტესტერი, ინჟინერ-ტექნოლოგი გარი ბულეიშვილი. იგი გვაჩვენებს სადემონსტრაციო დარბაზს. აქ მთელი კედლის გასწვრივ მოთავსებულია ფოტოპანორამა, რომელიც ასახავს ჩაის ფოთლის ხელით კრეფას. ხოლო გვერდით ჩაის კრეფს ჭკვიანი მანქანა „საქართველო“. პორტრეტებით, ფოტოსურათებითა და დიაგრამებით, მზა პროდუქციის სტენდებით ვეცნობით ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის, საქართველოს ჩაის ტრესტის ცენტრალური ლაბორატორიის მუშაობას. ერთ-ერთ კედელზე უზარმაზარი რუკაა, რომელზეც აღნიშნულია საქართველოს ჩაის მრეწველობის საწარმოები. იქვეა შავი და მწვანე ბაიხაო ჩაის, აგრეთვე ჩაის წარმოების ტექნოლოგიური სქემა.

სადეგუსტაციო დარბაზში ფუსფუსებენ ტიტესტერები თამარ ბებურიშვილი, ნაზი ვაშაკიძე და სხვები. მომსვლელთა სურვილისამებრ ისინი ოსტატურად ამზადებენ შესანიშნავ სასმელს, უხსნიან მათ, თუ როგორ შეინახონ და დააყენონ ჩაი.


დარბაზში აჩვენებენ ფილმებს რესპუბლიკის მეჩაიეობის განვითარების, სახელოვან ქართველ მეჩაიეთა შესახებ.

ი. სიხარულიძე,
„სამშობლოს ხმის“ სპეც. კორ.

* * *



სურათზე: ჩაის სახლის სადეგუსტაციო დარბაზი.



რუსთავი, ზამთრის ინდუსტრიული პეიზაჟი

დაგეძებენ, მოგელიან

ბიძინაშვილს შოთა (ლავრენტი) ალექსანდრეს-ძეს, დაბადებულს 1924 წელს, კასპის რაიონის სოფელ ძველმო გომში, ეძებს დედა — მარიამ ნიკოლოზის ასული ბიძინაშვილი, მცხოვრები თბილისში.

შ. ა. ბიძინაშვილი ჯარში გაიწვიეს 1942 წლის მარტში, უკანასკნელი წერილი ოჯახმა მიიღო 1943 წლის სექტემბერში, კრასნოდარიდან.

ძმებს **შარაბიძეს ნიკოლოზ იასონის-ძეს,** დაბადებულს 1910 წელს და **შარაბიძეს სერგო იასონის-ძეს,** დაბადებულს 1918 წელს დუშეთში, ეძებს და — მარიამ იასონის ასული შარაბიძე-მელაძე, მცხოვრები ქ. თბილისში.

ედიშერაშვილს პეტრე ეფრემის-ძეს, დაბადებულს 1917 წელს, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში, ეძებს მამა — ეფრემ ილარიონის-ძე ედიშერაშვილი, მცხოვრები სოფელ ჩუმლაყში.

ჩიკვილაძეს ვლადიმერ კონსტანტინეს-ძეს, დაბადებულს 1917 წელს ოზნის რაიონის სოფელ ლაჩოაში, ეძებენ მეუღლე — ელენე სპირიდონის ასული მაისურაძე-ჩიკვილაძე და შვილები — ჯუმბერ და ლაურა ჩიკვილაძეები, მცხოვრებნი ქ. თბილისში.





სურათებზე: შოთა ბიძინაშვილი (მარცხნივ), და ვლადიმერ ჩიკვილაძე თავის მეუღლესთან ერთად.



ა თ ი საუკეთესო

ყოველი წლის ბოლოს სპორტული ჟურნალისტები ანკეტის შევსების საშუალებით ასახელებენ გასული წლის ათ საუკეთესო სპორტსმენს. ალბათ გახსოვთ, რომ 1965 წლის საუკეთესო სპორტსმენად სსრ კავშირში დასახელებული იყო ვეღოსრბოლი ომარ ფხაკაძე, 1966 წელს კი ათეულში მე-10 ნომრად მოხვდა ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი. შეიძლება მე-10 ადგილი არც თუ ისე სახარბიელო იყოს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩოგბურთელი საერთოდ პირველად მოხვდა ამ სიაში.

ასევე წლის ბოლოს ქართველმა ჟურნალისტებმა ჩვენი რესპუბლიკის ათი საუკეთესო სპორტსმენი დაასახელეს და პირველი ადგილი მიაკუთვნეს ალექსანდრე მეტრეველს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს, სსრ კავშირის ჩემპიონს, მრავალი საერთაშორისო ტურნირის მონაწილეს.

1966 წელს ა. მეტრეველი შევიდა ევროპის უძლიერესთა ათეულში (3-4 ადგილი) დაამარცხა აშშ-ს ჩემპიონი რალსტონი, ინგლისის ჩემპიონი ტეილორი, იტალიელი პიეტრანჯელი, უიმბლდონის ჩემპიონი სანტანა, და სხვ. გავიდა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში, მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონატი და სკანდინავიის ღია ჩემპიონატი.

საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა სიაში № 2 ადგილი დაიკავა კლასიკური სტილით მოჭიდავე რომან რურუამ, გასულ წელს მან მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. № 3 — სპორტსმენია ნანა ალექსანდრია. თქვენ იცით მისი წარმატებების შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომრიდან. (იუგოსლავურმა გაზეთმა „ბორბამ" მას „ქალების ფიშერი" უწოდა), მან ხომ სულ ახლახან მოიგო სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული და პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

მეოთხე ნომრად დასახელებულია მძლეოსანი იური დრაჩკოვი. იგი 1966 წელს მეორედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი ათჭიდში. შემდეგ მოდიან — ომარ ფხაკაძე (მესამე ადგილი მსოფლიო ჩემპიონატზე სპრინტერულ რბოლაში), მოჭიდაკე ნონა გაფრინდაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის), მოჭიდავეები გურამ საღარაძე და ანზორ კიკნაძე (ორივე სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონები არიან). მოფარიკავე ნუგზარ ასათიანი და ფეხბურთელი სლავა მამრეველი. ამ სიაში დებიუტანტია ნანა ალექსანდრია. დანარჩენები ადრე თუ გვიან უკვე იყვნენ დასახელებულნი საუკეთესო ათეულში.

მაშ ასე, მეგობრებო. 1966 წელი სასიხარულო აღმოჩნდა ქართული სპორტისათვის. არა ერთი და ორი წარმატება მოგვეტანეს ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე. ახალ 1967 წელს მრავალი საინტერესო და დაძაბული ბრძოლების მომსწრენი გავხდებით და იმედი გვაქვს მიღწევები კიდევ უფრო დიდი გვექნება.

ახალ წელს ყოველთვის ახალი იმედები აქვს, ვუსურვოთ ქართველ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს გამარჯვებები სპორტულ სარბიელზე, მივულოცოთ მათ ახალი წელი თქვენთან ერთად და მათი სახელით თქვენც ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო გისურვებთ ბედნიერ 1967 წელს.

ეს წელი სასიხარულო ყოფილიყოს ყველა ჩვენგანისათვის.

ო. ლორთქიფანიძე.

გამოსწერეთ საქართველო

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ვისკვეთია

თბილისი, ჭ. ათონელის ქ. № 25.